დახურული შეხვედრები „ქართული ოცნების“ აქტივთან ოზურგეთში

ალიონი. 26 აგვისტოს ქ. ოზურგეთში, სასტუმრო „სემში“ პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს““ლიდერებმა **ირაკლი კობახიძემ, კახა კალაძემ, დიტო სამხარაძემ, არჩილ თალაკვაძემ** დახურული შეხვედრები გამართეს ოზურგეთის, ჩოხატაურის, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტების საკრებულოების ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ წევრებთან, ასევე „ქართული ოცნების“ ოზურგეთის აქტივთან.

„ქართული ოცნების“ლიდერების შეხვედრებიდან განსაკუთებულად ხმაურიანი გამოდგა ამ პარტიის ოზურგეთის აქტივთან შეხვედრა. მიუხედავად იმისა, რომ ეს შეხვედრაც დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა, სასტუმროს ფოიში მყოფ ჟურნალისტებს კარგად ესმოდათ ის ემოციური ფონი, რაც დარბაზში სუფევდა.

როგორც შეხვედრის შემდეგ დავაზუსტეთ, განსაკუთრებული კრიტიკით გამოირჩეოდა **ნუგზარ გიორგაძის, ხათუნა სურგულაძის, თამარ დუმბაძის, ეკა ნინიძის** გამოსვლები.

„ქართული ოცნების“ აქტივისტების კრიტიკის ერთ-ერთი თემა იყო საქართველოს ახალი პრემიერ-მინისტრის მიერ ორი კვირის განმავლობაში გურიის გუბერნატორის **მერაბ ჭანუყვაძის** მიმართ 3-ჯერ მიღებული გადაწყვეტილება დანიშვნა-გათავისუფლების შესახებ.

კრიტიკის საგანი იყო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ამჟამინდელი მერი „ქართული ოცნების“ წევრებისა და მხარდამჭერების სამსახურებიდან შევიწროებათა გათავისუფლების და სამსახურებში ნაცმოძრაობის აქტივისტების დანიშვნის გამო.

დარბაზიდან ისმოდა, რომ ოზურგეთში მერად ჭანუყვაძის გურიის გუბერნატორობიდან გათავისუფლების შემდეგ კიდევ უფრო დაუცველი დარჩა „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები. დასახელდა კონკრეტული გვარები, რომლებმაც თავიანთი „წვლილი“ შეიტანეს ადგილობრივი თვითმმართველოს არჩევნებში „ქართული ოცნების“კანდიდატის წარუმეტებლობაში.

დახურული შეხვედრები დაახლოებით 4 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა.

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 33 (10278) 3 სექტემბერი 2018 წ. ფასი 60 თეთრი.

ასკანობა - 2018

გვ-8

კილომეტრიან დოღში გამარჯვებული ქ. ოზურგეთის №2 საჯარო სკოლის მოსწავლე დათა შარაშენიძე

ჯვარიმინდორი – საქართველოს ისტორიული რეალობის ნაწილი

მარიამობას, აჭარა-გურიის ალპური ზონის ისტორიულ გზასაყარზე VII ფოლკლორული ფესტივალი ჯვარიმინდორი გაიმართა

გვ-5

დიდი აყალმაყალი საკრებულოს სხდომაზე

თემურ მარშანიშვილი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არც ერთი მოწვევის საკრებულოს ასეთი ხმაურიანი სხდომა არ ახსოვს. არადა, საკითხი ერთადერთი და ფრიად სერიოზული იყო: „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის №1 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების შესახებ“.

მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელის **გია მამაკაიშვილის** საკმაოდ ვრცელ მოხსენებას საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის **გიორგი ღურჯუმელიძის** შეკითხვები მოჰყვა. საკითხით, რასაკვირველია, სხვა დეპუტატებიც დაინტერესდნენ და რამდენიმე კითხვაც დასვეს.

სხდომას ესწრებოდა გურიის ახალი გუბერნატორი **ზურაბ ნასარაია,** რომელმაც, ალბათ, ობიექტური მიზეზების გამო ადრე დატოვა სხდომა. რაც არ უნდა ცუდად ნათქვამი გამოგვივიდეს, ფაქტობრივად ასეა: ბატონი ნასარაიას წასვლის შემდეგ, ოპონირების დროს, ორივე მხარემ „აიშვა“.

ნუ გვიწყენს ქალაქის მერი ბატონი **კონსტანტინე შარაშენიძე** და მას, როგორც საჯარო მოხელეს, თმენის მეტი ვალდებულება მართებს მაშინაც კი, როცა ოპონენტი თუნდაც „მხარეა“, როგორც მან ფრაქცია„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს თავმჯდომარის მოადგილეს **მარიკა ჩხიკვიშვილს** უწოდა. ამ ვითომდა კამათში, სინამდვილეში კი დიდ აურზაურსა და აყალმაყალში სიტუაცია იმდენად დაიძაბა, რომ საკრებულოს თავმჯდომარე იძულებული გახდა, ერთსაკითხიან სხდომაზე გამოეცხადებინა 20-წუთიანი შესვენება, რომელიც ნახევარსაათიანს გასცდა.

მანამდე კი, მარიკა ჩხიკვიშვილმა, პროტესტის ნიშნად სხდომა დატოვა.

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატებმა“ საკრებულოს თავმჯდომარე **დავით დარჩია** დაადანაშაულეს იმაში, რომ მან შესვენება მაშინ გამოაცხადა, როდესაც საკითხზე, მათი თქმით, ფაქტობრივად დაწყებული იყო კენჭისყრა.

სხდომა განახლდა თუ არა, დავით დარჩიამ დარბაზს გააცნო უმრავლესობასთან ერთად მომზადებული და შეთანხმებული განცხადება, შემდეგ კი საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უმრავლესობის წევრები თავს შეურაცხყოფილად ვგრძნობთ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის კონსტანტინე შარაშენიძის მხრიდან არაეთიკური საქციელის, პიროვნების, საკრებულოს წევრების ღირსების შემლახველი მიმართვების გამო. მერმა, რომელსაც აქვს თმენის ვალდებულება და ის პატივს უნდა სცემდეს საკრებულოს, ეს სრულად დაარღვია.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიამ, პარასკევს 24 აგვისტოს, გვიან შემოტანილი საკითხით ფორსმაჟორულ სიტუაციაში ჩაგდო საკრებულოს წევრები, თუმცა კომისიებმა შემჭი-

გვ-2

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

დიდი აყალმაყალი საკრებულოს სხდომაზე

დროებულ ვადებში შეძლეს წარმოდგენილი პროექტის შესწავლა და დღეს, მისცეს მერის შესაბამის სამსახურს რეკომენდაციები.

აღვნიშნავ, რომ საკრებულოს უმრავლესობა ვგრძნობთ პასუხისმგებლობას ჩვენი ამომრჩველების, მოქალაქეების წინაშე და სიტუაციიდან გამომდინარე, რადგან არჩევნებამდე ორი თვის განმავლობაში შეზღუდულია ბიუჯეტში ცვლილების განხორციელება, დღეს, უკან ვწევთ პირად წყენებს და მოსახლეობის საკეთილდღეოდ ვაგრძელებთ სხდომას.

აქვე აღვნიშნავთ, რომ არა ჩვენი დღევანდელი გადაწყვეტილება, ა(ა)იპ-ებში მერი ვერ გასცემდა ხელფასებს, მოქალაქეები ვერ მიიღებდნენ სოციალურ დახმარებებს, სტიქიით დაზარალებულ მოსახლეობას ვერ გაეწეოდა შესაბამისი დახმარება.

სწორედ ეს არის პრიორიტეტული ჩვენთვის და არა მერის მხრიდან მსგავსი საქციელი.

აქვე განვმარტავ, რომ ბიუჯეტიდან გასაწევი ხარჯების უკმარისობების პირობებში სრული პასუხისმგებლობა ეკისრება მერს."

ბიუჯეტში შესატან ცვლილებებს დეპუტატებმა უფრო ალბათ ამიტომ დაუჭირეს მხარი.

საფეხბურთო კლუბ „მერცხალში“ არსებულ პრობლემებზე იმსჯელეს

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე, დღეს, შემოსულ კორესპონდენციაზე იმსჯელეს, რომელიც საფეხბურთო კლუბ მერცხალში არსებულ პრობლემებს ეხება.

,,დღევანდელი სხდომა ეხმიანება კლუბ მერცხალსა და ა(ა)იპ-ში შექმნილ რთულ სიტუაციას. მაშინ როცა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილია არც თუ ისე მცირე თანხა, სახეზე არ გვაქვს შედეგი არც სპორტის განვითარების მიმართულებით და არც მენეჯერული თვალსაზრისით გამართულ ფუნქციონირებაზე.“ –აღნიშნა კომისიის თავმჯდომარემ ლელა საჯაიამ.

სხდომაზევე დაისვა კითხვები ა(ა)იპში არსებულ სამართლებრივ-ორგანიზაციულ საკითხებზე, რაზედაც მერიის წარმომადგნელების მხრიდან აღინიშნა, რომ ხარვეზები არსებობს და ა(ა)იპ -ში ვითარება აუცილებლად უნდა გამოსწორდეს.

კომისიამ რეკომენდაცია მისცა მერიის შესაბამის სამსახურებს პრობლემების დროულად შესწავლის მიზნით იზრუნონ მათ აღმოფხვრისთვის.



ვინ და როდის აღადგენს სკვერს



ალიონი. ეს სკვერი, უფრო სწორად, ნასკვერალი, ნამიწისძვრალი რომ გეგონებათ, ჩვენი ქალაქის გულის გულში, ჭავჭავაძის გამზირზე, სახელმწიფო არქივის გვერდით მდებარეობს. იგი დაახლოებით ათი წლის წინათ სამხარეო პოლიციის თანამშრომლებმა კეთილმოაწყვეს.

როგორც აქაური სამეზობლო ამბობს, სკვერი ბოლო თვითმმართველობის არჩევნებს შეეწირა:

,,არ იცით ვითომ, რატომაა ასეთ დღეში აქაურობა?! ბოლო არჩევნებს შეეწირა, ბოლო არჩევნებს, სამოქალაქო ომს რომ კინაღამ დაამსგავსეს! არც რკინა დატოვეს და არც ფიცარი. მთვარიდან ჩამოსულივით ახლა რომ კითხულობთ, როცა დაარბიეს და ფუტი აადინეს, მაშინ სად იყავით?“ – გვისაყვედურა ქალბატონმა, სავარაუდოდ მოპირდაპირე კორპუსში მცხოვრებმა, რომელმაც კითხვაზე პასუხის გაცემის შემდეგ ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა.

გაცილებით მშვიდი აღმოჩნდა არქივის თანამშრომელი:

,,რაც იყო, იყო, მაგრამ აქაურობის სრულყოფილად აღდგენაზე თუ ვერა, ნაწილობრივ მოწესრიგებაზე მაინც არ უნდა იფიქროს და იზრუნოს არავინ?“

ვინ და როდის აღადგენს ამ სკვერს იმ დონემდე მაინც, რომ მომავალი თვითმმართველობის არჩევნებისთვის დასარბევად ღირდეს?

გურიის გუბერნატორი რეგიონული სამსახურების წარმომადგენლებს შეხვდა

გურიის გუბერნატორი ზურაბ ნასარაია, მოადგილესთან ქეთევან მოისწრაფეშვილთან და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესთან დავით დარჩიასთან ერთად, რეგიონული სამსახურების წარმომადგენლებს შეხვდა.

,,რეგიონული სამსახურების წარმომადგენლებთან ვისაუბრეთ უკვე დასრულებულ და სამომავლოდ განსახორციელებელ პროექტებზე. განვსაზღვრეთ პრიორიტეტული მიმართულებები და შევიმუშავეთ კონკრეტული სამოქმედო გეგმები. ამიერიდან ასეთი მასშტაბის შეხვედრები ტრადიციულ ხასიათს მიიღებს“- განაცხადა გუბერნატორმა.

შეწამვლითი სამუშაოები მუნიციპალიტეტებში ოქტომბრის ბოლომდე გაგრძელდება

აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის კამპანიის ფარგლებში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში, გასულ ხუთშაბათს საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა.

აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის საკოორდინაციო შტაბის ხელმძღვანელმა ლაშა შალამბერიძემ, გურიის გუბერნატორთან ზურაბ ნასარაიასთან და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, ფაროსანასთან ბრძოლის გეგმა, საკრებულოს წევრებს და სოფლებში მერის წარმომადგენლებს გააცნო.

,,სტრატეგიის მიხედვით ჩვენ დავიწყეთ ფერომონების გადანაწილება სოფლებში, რათა მოვიზიდოთ მავნებელი და შემდგომში ის იქნას

განადგურებული ე.წ ,,ცივი შეშხურებით“. შეწამვლითი სამუშაოები მუნიციპალიტეტში ეტაპობრივად ოქტომბრის ბოლომდე გაგრძელდება, მოხდება თერმული ნისლის გაფრქვევა და ნათესების ცივი შეშხურების მეთოდით დამუშავება. ასევე, უმნიშვნელოვანესია მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლაში მოსახლეობის ჩართვაც. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სექტემბრის პირველ რიცხვებში მოხდება დაახლოებით 50 ერთეული ტექნიკის შემოსვლაც“ - განაცხადა შტაბის ხელმძღვანელმა.

მხარისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, საველე პირობებში ადგილზევე გაეცნენ, თუ როგორ ხდება ფერომონის დამონტაჟება და მავნებლის განადგურება.

მეწარმე ქალთა ეკონომიკური ფორუმი

ალიონი. 31 აგვისტოს, 16 საათზე, ქალაქ ოზურგეთში, სასტუმრო „სემის“ საკონფერენციო დარბაზში, სლოგანით „წარმატებული ქალი – ძლიერი რეგიონი“, მეწარმე ქალთა მორიგი ეკონომიკური ფორუმი გაიმართა.

ფორუმის მიზანია ქალ მეწარმეთა გააქტიურება და მათი ჩართულობის გაზრდა რეგიონის ეკონომიკურ ცხოვრებაში.

სახელმწიფოს მხრიდან რეგიონებში, ეკონომიკის განვითარების სტიმულირების მიზნით, მნიშვნელოვანი პროექტები ხორციელდება, ერთ-ერთია „აწარმოე საქართველოში,“ რომლის ფარგლებშიც ასობით ბენეფიციარმა შეძლო ახალი ბიზნესის წამოწყება ან არსებული საქმიანობის გაფართოება.

საგულისხმოა, რომ სახელმწიფო თუ დონორი ორგანიზაციების მიერ გამოცხადებულ კონკურსში უპირატესობა ქალ ბენეფიციარებს ენიჭებათ.

ფორუმის ფარგლებში, მეწარმე ქალები გაეცნენ არსებულ გამოცდილებებს. ყურადღება გამახვილდა ქალი მეწარმეების საჭიროებების შესახებ. მონაწილეებს შესაძლებლობა მიეცათ, მიიღოთ საჭირო ინფორმაცია სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამების შესახებ.

შეხვედრაში მონაწილეობდა 50-მდე მეწარმე ქალი ისეთი ბიზნესსექტორებიდან როგორიცაა: ჩაის წარმოება, თხილის წარმოება, თაფლის წარმოება, კენკრის წარმოება;

მომსახურების სფერო: სამკერვალო, საცხობი, სილამაზის სალონი, სუპერმარკეტი.

ფორუმს ესწრებოდნენ აჭარის ქალ მეწარმეთა ასოციაციის, ხელისუფლების, საერთაშორისო და ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

- ჩატარდა ბიზნესფორუმი.

- გამომსვლელებმა დამსწრე საზოგადოებას გაუზიარეს საკუთარი გამოცდილებები.

- მოეწყო სახელმწიფო პროგრამა „მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის“ პრეზენტაცია.

- გაიმართა ქალთა ნაწარმის გამოფენა.

ფორუმის ორგანიზატორი გახლდათ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია; მხარდამჭერი - **USAID/REAP.**

ანგარიშის პრეზენტაცია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და კომუნალური სერვისების განვითარების სამსახურის უფროსმა **თემურ გიორგაძემ** საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიას 2018 წლის 8 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში წარუდგინა. პრეზენტაცია შესრულებულ, მიმდინარე და დაგეგმილ პროექტებს დაეთმო.

ანგარიშის დასრულების შემდეგ შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა.

დეპუტატებმა მერიის მიერ განხორციელებული საქმიანობა დადებითად შეაფასეს.

უფასო სასადილო დარბაზ „ნატალიში“ გადადის

2018 წლის 1 სექტემბრიდან მზრუნველობამოკლებულთა უფასო სასადილო გრიბოედოვის ქუჩა 24-ში დარბაზ „ნატალიში“ გადადის.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადებულია ტენდერი. ერთი თვის ვადაში გამოვლენილი, გამარჯვებული ობიექტი შემდგომში ბენეფიციარებს საკვებით თავად უზრუნველყოფს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **ირაკლი სირაძე** ბენეფიციარებს შეხვდა.

სახელმწიფო შპს-ს რეორგანიზაციით განმტკიცებული უსამართლობა, მოქალაქის უფლებების იგნორირება

სოციალისტური სისტემიდან კაპიტალიზმზე გადასვლის პროცესს ახლდა მოქალაქეების ინტერესების იგნორირება. სისტემა, რომელიც საკუთარ ინტერესებს ადგენდა, ნებისმიერ კომპანიას ერთი დღის დაგვიანებასაც არ გვპატიობს, უშვებს საკუთარი ვალდებულებების დაიგნორირებას და ამ გზით მოქალაქეთა ჩაგვრას.

მე-20 საუკუნის მიწურულს საბჭოთა შემნახველმა ბანკებმა თუ მათმა მემკვიდრეებმა მითითებულ ადამიანების ნაამაგარი თანხები. ბევრი მათგანი გარდაიცვალა სიდუხჭირეში, ისე, რომ არანაირი კომპენსაცია არ მიუღია ბანკისა თუ სახელმწიფოსაგან. ამ მხრივ, შედარებით სამართლიანი იყო სსრკ, როცა ადამიანებს ობლიგაციებით თანხის დაბრუნების შანსი დაუტოვა თავის დროზე, ამავე საუკუნის გარიჟრაჟზე.

ბანკებს მიმდევრები გამოუჩნდა.

70 წლის **კაკო კაპანაძის** შესახებ გიამბობთ, რომელსაც თავის დამსაქმებელთან, მაშინდელ „ოზურგეთის წყალკანალთან“ და დღევანდელ „გაერთიანებულ წყალმომარაგების კომპანიასთან“ აქვს ფინანსური პრეტენზია. იგი საკუთარ ოთხი წლის ხელფასს ითხოვს. თუმც, მოპასუხეს ვერ პოულობს.

ბატონი კაკო რამდენიმე ათეული წელიწადი, 2009 წლამდე მუშაობდა „ოზურგეთის წყალკანალში.“ ეს გახლდათ შპს 100 პროცენტიანი სახელმწიფო წილით. წლების მანძილზე კაკო კაპანაძის მონაწილეობით არის გაყვანილი ქალაქის ძველი ქსელის დიდი ნაწილი და ოზურგეთში სოფლების წყალგაყვანილობა. ამ სისტემის შესახებ მისი სრულყოფილი ცოდნა აღიარებული და დაფასებული იყო კოლექტივსა და საზოგადოებაში.

ახლა იმ დაფასებისა და იმ წლების მოგონება, ძირითადად, დარდის მიზეზია, რადგან კომპანიამ რეორგანიზაციის შედეგად, 1995 წლიდან 2009 წლამდე პერიოდიდან დატოვა ნარჩენი, აუნაზღაურებელი ხელფასი ცხრა ადამიანზე, მათ შორის ბატონი კაკოს მიმართ კომპანიის დავალიანება 2 100 ლარს შეადგენს. მისი პენსია კი 180 ლარია. შესაბამისად, გულისტკივლთან ერთად აუღებელი ხელფასი დიდი ფინანსური ზარალია.

დღეს ძნელია პასუხის პოვნა კითხვაზე რატომ დაგროვდა 4 წლის გაუცემელი ხელფასი? ეს ის წლებია, როცა სახელწიფო სტრუქტურები ვერ უზრუნველყოფდა დროულად ხელფასისა და პენსიის გაცემას. ეს ქაოსის წლებია..

კაკო კაპანაძე: „– ძირითადად, ასაკოვანი ადამიანები დაგვტოვეს უხელფასოდ, არიან ჩემზე უფროსებიც. ხელმძღვანელობასთან საუბრით ვერას გავხდი და სასამართლოს მივმართე. სასამართლომ სხდომა არ ჩაატარა, რადგან მტკიცებულებითი დოკუმენტაცია ვერ წარვადგინე... არავინ იმედს არ მაძლევს, საბუთიც ვერ მოვიპოვე. ცხრა ადამიანი ვიყავით ამ დღეში, ახლა შვიდი ვართ. ორი გარდაიცვალა.“

საუბარია სახელფასო დავალიანების შესახებ დოკუმენტზე, რომელიც სახელმწიფო შ.ს.-ს რეორგანიზაციის შედეგად გახდა მიუწვდომელი.

სახელმწიფომ 2009 წელს „ოზურგეთის წყალკანალის“ რეორგანიზაცია განახორციელა და იგი შეერწყა ქუთაისში „დასავლეთწყალკანალს“. მოხდა საწარმოს ლიკვიდაცია და მისი ბალანსი, გადაუხდელი ვალდებულებები, მათ შორის სახელფასო, ქუთაისის სათავო ოფისს გადაეცა. ბატონმა კაკომ აქაც სცადა სიმართლის გარკვევა, როგორც ამბობს ქუთაისში ჩასულს ხელმძღვანელი ვერ უნახავს. მალე კიდევ ერთი რეორგანიზაცია მოხდა და ქუთაისის „დასავლეთწყალის“ ლიკვიდაცია დაიწყო. მისი აქტივები „გაერთიანებულ წყალმომარაგებას გადაეცა, ხოლო დავალიანებები დარჩა კომპანიას, რომლის ლიკვიდაციისა და გაკოტრების პროცესი მიდიოდა.

„ოზურგეთის წყალკანალის“ მაშინდელი ხელმძღვანელი, დავით ცინცაძე ამბობს, რომ მას ხელფასი 1 660 ლარი ამ პროცესებმა წაართვა, გარდა ამისა, კომპანიას დარჩა ვალები ელენერგიის, საწვავის, სანტექნიკის... რომელთა ნაწილი თავად გადაიხადა, რადგან კომპანიებთან მას, როგორც ხელმძრვანელს, ჰქონდა პასუხისმგებლობა პირადად. მისივე სიტყვებით „დასავლეთის წყალიდან“ სალიკვიდაციო კომპანია დარჩა, რომელიც შესაძლოა დღეს აღარ არსებობდეს.

ია მემარნიშვილი, იურისტი: „ – კაკო კაპანაძე წლებია დადის სხვადასხვა ქალაქის სხვადასხვა ინსტანციაში, ადვოკატებთან, დაატარებს საბუთებს, ბევრი დაკარგა კიდეც. ამან მეტად გაართულა ეს საქმე. დღემდე ვერ გაირკვა ვინ არის შპს „ოზურგეთის წყალკანალის“ სამართალმემკვიდრე. ეკონომიკის სამინისტროდან გვაცნობეს, რომ სამართალმემკვიდრე არის „წყალკანალ 21“, რომელიც თბილისში მდებარეობს. გაუგზავნა წერილი ამ ორგანიზაციაში და ვერ მოიძებნა წერილის მიმღები პირი. იგი უკან დაგვიბრუნდა.

ზოგადად, კომპანია ასე უკვალოდ არ უნდა გაქრალიყო, თუმცა ჩვენი ძიება წარუმატებლად დამთავრდა.

მიუხედავად იმისა, რომ სახელფასო დავალიანების შესახებ სარჩელები კმაყოფილდება, აქ სარჩელის შეტანის საშუალებაც მოგვესპო საკმარისი მტკიცებულებების უქონლობით.

გაურკვეველია, ვის შეიძლება მოვთხოვოთ სახელფასო დავლიანებების შესახებ დოკუმენტი, არამარტო კაკო კაპანაძის, არამედ არის აქ შვიდი ადამინი. ეს სახელფასო დავალიება შვიდი ათას ლარს შეადგენს მიახლოებით.

–„გაერთიანებული წყალკანალი“ რის საფუძველზე შეიქმნა?

– ჩემთვის უცნობია რის საფუძველზე შეიქმნა საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ოზურგეთის სერვისცენტრი. ვინ არიან, ვისი სამართალმემკვიდრეები არიან. ვიცი, რომ ჩაიბარეს ქონება, ხოლო იმ ვალდებულებებზე, რაც „ოზურგეთის წყალკანალს“ გააჩნდა და შესაბამისად, დავალიანების დაფარვაზეც უარს აცხადებენ.“

ბატონი კაკოს შეხვედრების უშედეგობის ფონზე სხვადასხვა ქალაქში, ინსტანციაში, ადვოკატებთან, გასაკვირიც არაა, რომ დანარჩენი, მასავით დაზარალებული ადამიანები ამას თავიდანვე პროგნოზირებდნენ, ზოგმა სცადა, ზოგს არც კი უცდია დანაკარგის დაბრუნება.

შედეგისათვის მხოლოდ ორი საბუთია საჭირო - სახელფასო დავალიანების ცნობა და მოპასუხე ორგანიზაციის ანუ „ოზურგეთის წყალკანალის“ სამართალმემკვიდრის ვინაობა.

ბატონმა კაკომ მეც მკითხა საბოლოო შედეგი მექნებაო? სადაც ადვოკატები და კანონი უძლური აღმოჩნდა იქ ჩვეულებრივმა სტატიამ რა უნდა გააწყოს? მით უფრო, მას შემდეგ ლამის ათი წელია გასული.

ფუჭი სიარულით, უარით დაღლილ, საბუთეშემოძარცვულ ჭარმაგ ადამიანს დღესაც ეუბნებიან მომიტანე საბუთი და საქმეს მოვიგებთო. მას აღარაფრის ეიმედება.

ასე დაკანონდა უსამართლობა, დაირღვა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით მინიჭებული შრომის, თანაბარი შრომისათვის თანაბარი ანაზღაურების მიღების მოთხოვნა.

არსებობს გამოსავალი? შესაძლებელია საჭირო დოკუმენტების მოპოვება 70 წლის, პენსიაზე დამოკიდებული ადამიანის რესურსებით?

ესეც რიტორიკულ სიტყვებად იქცა, ისევე როგორც ბატონი კაკოს კითხვა: შედეგი იქნება?

ლია კილაძე

ურეკში მშენებარე ბაღი 15 სექტემბრისთვის მზად იქნება

ალიონი. დაბა ურეკში შპს „ატუ“ თანამედროვე ტიპის სბავშვო ბაღის შენობას აშენებს.

როგორც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულმა **დავით რობაქიძემ** გვითხრა, ბაღი ევროსტანდარტების დონის იქნება და იგი 4 ჯგუფზე, – 100 ბავშვზეა გათვლილი. ერთ ბავშვზე ამ სტანდარტით გათვალისწინებული 7-8 კვადრატული ფართი მოდის. ბაღს ექნება სასწავლო დარბაზები, საძინებლები, სასადილო, საშხაპეები, გასართობები და ა.შ.

ჩვენს კითხვაზე, არის თუ არა სათანადო კონტიგენტი დაბა ურეკში, დავით რობაქიძემ გვიპასუხა, რომ დაბა ურეკიდან მშობლებს 40-მდე ბავშვი ყოველდღიურად ქ. ფოთში დაჰყავდათ ბაღში. ისინი კი ყველა აქ მოვლენ.

დავით რობაქიძემ ისიც გვითხრა, რომ შესაძლოა „ატუმ“ დაბაში სკოლის ახალი შენობა ააგოს.

საშემოდგომო სამუშაოები საფუტკრეში

მეფუტკრეობის, როგორც სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგის, წარმატება დიდად არის დამოკიდებული მეურნეობაში სეზონის მიხედვით ღონისძიებების დროულად, ხარისხიანად ჩატარებაზე, მოვლა-მოშენების საკითხზე: ხარისხიანი ფიჭები, საზამთროდ ხარისხიანი და საკმარისი საკვების მარაგი, დედების ხარისხი, ასაკი, ასევე ფუტკრის დაავადებების ადრეული პროფილაქტიკა და მკურნალობა.

სეზონურობის მიხედვით არსებობს დაყოფა გაზაფხულის ზაფხულის და ზამთრის დაავადებად. სეზონის ყველა დროს როგორც ფუტკრის, ასევე ბარტყის დაავადებებს აქვს გარკვეული დახასიათებელი კლინიკური ნიშნები, რომელიც გვაძლევს ინფორმაციას ამა თუ იმ დაავადების არსებობაზე. აუცილებლობის შემთხვევაში იგი უნდა დააზუსტოს ლაბორატორიულმა გამოკვლევებმა, სასურველია, ვიცოდეთ ის კლინიკური ნიშნები, რომლის შემჩნევის დროს აუცილებელია ჩატარდეს სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებები.

თაფლის გამოწურვის შემდეგ ვიწყებთ აღნიშნულ სამკურნალო ღონისძიებებს. პირველ რიგში, ვაკომპლექტებთ-ვადგენთ ბუდეს. ბუდის შედგენის დროს სასურველია იგი დაკომპლექტდეს მუქ, არაშავ ფიჭებზე, რადგანაც უფრო თბილია და ფუტკარიც მას ირჩევს.

ვაროატოზი

ფუტკრის და ბარტყის საშიში დაავადებაა, რომელიც გავრცელებულია მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში. ვარუა იკვებება ბარტყის და ფუტკრის ჰემოლიმფით, რაც ხელს უწყობს ისეთი დაავადებების გავრცელებას, როგორიცაა ვირუსული დამბლა, პარკუჭა ბარტყი, ამერიკული და ევროპული სიდამპლე და სხვა, მრავლდება მუშა და განსაკუთრებით სამამლე ბარტყიან უჯრედში. ვაროატოზი საშიში დაავადებაა ფუტკრის ოჯახებისათვის, ვინაიდან მკვეთრად ასუსტებს მას. დაავადებული ოჯახი იღუპება ან ტოვებს თავის ბუდეს და შორს მიფრინავს.

თავდაპირველად დაავადება მიმდინარეობს შეუმჩნევლად, მაგრამ მეორე და მესამე წლის შემდეგ გამოვლინდება დავადების დამახასიათებელი ცვლილებები, ზამთარში ფუტკარი გუნდს ვერ კრავს, ემართება ფაღარათი და დიდი რაოდენობით იხოცება. ზაფხულში ასეთ ოჯახებში იბადებიან განუვითარებელი და მახინჯი ფუტკრები, რომლებიც ზომით პატარები და ნაკლებ სიცოცხლის უნარიანი არიან. აქვთ განუვითარებელი ფრთები, ცუდად ან საერთოდ ვერ ფრენენ. მკვეთრად დაქვეითებული ოჯახის პროდუქტიულობა და თავდაცვა. სუსტ ოჯახებს თავს ესხმიან ძლიერნი და ქურდავენ მათ.

ფუტკრის ტილზე (ვაროატოზი) სამკურნალოდ და პროფილაქტიკისათვის გამოიყენება პრეპარატები ვარაკომი, მავრიკი; სიდამპლეებზე – ნოლსულ-ფაზოლნატრი; ბიოპრეპარატებიდან: ვარატოზი, ფულ-ვალიდეზი, აპიდეზი, ფუმისანი; ფუტკრის ბარტყის სიდამპლეების სამკურნალოდ და პროფილაქტიკისათვის - ოქსიბაქტოციდი, აპიმაქსი, ოქსივიტა და სხვა მონაცვლეობით. ფუტკართან დროულად და გონივრულად დახარჯული ყოველი წუთიც კი სასურველ შედეგს მოგვცემს საქმიანობაში.

კარგი შედეგით დამთავრდა მიმდინარე წელი ფუტკარმეფუტკრეებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ შიდა ბაზარი ვერ აკმაყოფილებს მეფუტკრეთა მოთხოვნებს, იმედია, უახლოეს დროში ქართული თაფლის ევროპული გზაზე მოიხსნება ყველა ბარიერი. მთავარია, ჩვენი პროდუქცია აკმაყოფილებდეს პირველ ეტაპზე საერთაშორისო მოთხოვნათა რეგულაციებს.

გირჩევთ, წუთითაც არ შეანელოთ მუშაობის ტემპი. თქვენი მოთხოვნებისა და უფლებების დაცვის სამსახურში იყო და იქნება გურიის მეფუტკრეთა კავშირი

ჯანვერდი ცეცხლაძე.

3 მთავარი შეცდომა აზიურ ფაროსანასთან ბრძოლისას

აზიური ფაროსანა ქართველი ფერმერებისთვის უკვე კარგად ნაცნობი მავნებელია. 2015 წლიდან მწერმა სხვადასხვა კულტურა დააზიანა. მავნებლის „კბილი“ განსაკუთრებით იმ გლეხებმა იგრძნეს, რომელთა შემოსავლის ძირითად წყაროს თხილი, სიმინდი და ციტრუსოვანი კულტურა წარმოადგენდა.

სურსათის ეროვნულ სააგენტოში, რომელიც აზიური ფაროსანას წინააღმდეგ დაგეგმილ სახელმწიფო გეგმას ანხორციელებს, მიიჩნევენ, რომ მიმდინარე წელი მავნებელთან ბრძოლაში წარმატებული იყო – აზიური ფაროსანას რაოდენობა შემცირებულია და არც მისი მოქმედების არეალი გაფართოებულა. მწერი კვლავ მხოლოდ დასავლეთ საქართველოშია აქტიური.

მიუხედავად ამისა, სურსათის ეროვნულ სააგენტოში ამბობენ, რომ ხელისშემშლელი ფაქტორების გარეშე, პროცესი გაცილებით ეფექტური იქნებოდა. უწყების მცენარეთა დაცვის დეპარტამენტის უფროსი ნიკა მესხი აზიურ ფაროსანასთან ბრძოლისას ფერმერების მიერ დაშვებულ 3 ძირითად შეცდომაზე გვესაუბრება.

უნდობლობა პრეპარატების მიმართ

ნიკა მესხის თქმით, ვრცელდება მცდარი ინფორმაცია, რომ აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო პრეპარატები მაღალი ტოქსიკურობით გამოირჩევა და მისი გამოყენება სახიფათოა. სპეციალისტი კიდევ ერთხელ განმარტავს, რომ პრეპარატებში შემავალი მოქმედი ნივთიერებები სხვადასხვა მავნებლის საწინააღმდეგოდ საქართველოში 2000 წლიდან გამოიყენება, კონკრეტული ქიმიური საშუალება და სტრატეგია უცხოელი ექსპერტების რეკომენდაციებით შეირჩა და აზიური ფაროსანას წინააღმდეგ მაღალი ეფექტურობით ხასიათდება.

„სახელმწიფომ მავნებლის საწინააღმდეგო მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში 230 000 ლიტრი ბიფეტრინის შემცველი პრეპარატი საერთაშორისო ექსპერტების რჩევებისა და გამოცდილებაზე დაყრდნობით შეიძინა. ახლა უკვე საკუთარი დაკვირვებითაც და შედეგებითაც შეგვიძლია იგივეს თქმა – პრეპარატი მნიშვნელოვნად იცავს მოსავალს მავნებლისგან. სამწუხაროა, რომ ფერმერთა ნაწილი კვლავ მცდარი ინფორმაციის გავლენის ქვეშ არის, თავს არიდებს პრეპარატის გამოყენებას და შესაბამისად, მავნებლისგან დაუცველს ტოვებს მოსავალს“, – ამბობს მესხი.

იგი ფერმერებს მოუწოდებს აქტიურად ჩაერთონ შეწამვლით ღონისძიებებში და აქვე პროცესისას გასათვალისწინებელ ფაქტორებს ახსენებს. სპეციალისტის თქმით, წამლობა დილის და საღამოს საათებში უნდა ჩატარდეს, დაუშვებელია მცენარეთა დამუშავება მაღალი ტემპერატურის ქარიან და წვიმიან ამინდში.

არაკომპლექსური მიდგომა წამლობისას

ნიკა მესხი იხსენებს შემთხვევებს, როდესაც აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ფერმერებმა კულტურები შეწამლეს, თუმცა მოსავალი მაინც გაუფუჭდათ. სპეციალისტი განმარტავს, რომ მცენარეები სხვადასხვა სოკოვანმა თუ ბაქტერიულმა დაავადებებმაც დააზიანა, ამიტომ დანაკარგის თავიდან ასაცილებლად კომპლექსული მიდგომაა საჭირო.

„თუ ჩვენ მხოლოდ აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ჩავატარებთ წამლობას, გვრჩება აქტიური სხვადასხვა დაავადებები, რასაც ისევ მცენარის დაზიანებამდე მივყავართ. მცენარეთა დაცვა ინტეგრირებული უნდა იყოს“, – განმარტავს სეს-ის წარმომადგენელი.

მესხი ფერმერებს მოუწოდებს წამლობის პერიოდულობის შესახებ ინფორმაცია შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტებისგან მიიღონ, პრეპარატები და მცენარის კვებისთვის საჭირო სასუქები კი სპეციალიზებულ მაღაზიებში შეიძინონ, სადაც ქიმიკატების შენახვის პირობები სრულადაა დაცული, აგრეთვე ფერმერები ყურადღებით გაეცნონ პრეპარატების მოხმარების წესებს და დაიცვან პირადი უსაფრთხოება.

ფერმერების არასაკმარისი ჩართულობა

ნიკა მესხი აზიურ ფაროსანასთან ბრძოლაში მნიშვნელოვან პრობლემად ფერმერთა ნაწილის პასიურობას ასახელებს. სპეციალისტის განმარტებით, პროცესში თითოეული მათგანის მონაწილეობა გადამწყვეტია, მოსახლეობის ნაწილი კი საკუთარ როლს ვერ აცნობიერებს.

„მიუხედავად სახელმწიფოს მიერ გაწეული მასშტაბური სამუშაოებისა, სასურველ შედეგამდე ფერმერების ჩართულობის გარეშე ვერ მივალთ. ქვეყნებში, რომლებმაც მავნებელთა გამკლავება წარმატებით მოახერხეს, მოქალაქეების აქტიურობა ძალიან მაღალი იყო“, – აცხადებს მესხი.

სურსათის ეროვნულ სააგენტოში ამბობენ, რომ ფერმერებმა აზიური ფაროსანას საწინააღდეგო ღონისძიებები, სახელმწიფოსთან ერთად, თანმიმდევრულად, უწყვეტ რეჟიმში უნდა ჩაატარონ.

ავტორი:
ეკატერინე მამამთავრიშვილი

European Bank
for Reconstruction and Development

Journalism Resource Center

ჯვარიმინდორი – საქართველოს ისტორიული რეალობის ნაწილი

ალიონი. 28 აგვისტოს, ქრისტიანული სამყაროს ერთ-ერთ უდიდესი დღესასწაულზე – მარიამობას, შუახევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, აჭარა-გურიის ალპური ზონის ისტორიულ გზასაყარზე, გაიმართა მე-7 ფოლკლორული ფესტივალი „ჯვარიმინდორი.“ორგანიზატორები – შუახევის მუნიციპალიტეტი, საზოგადოებრივი კავშირი „ჭვანა.“

თაგინაურის მთა (ზ.დ. 2668 მ.) აჭარა-გურიის ქედზე, მდინარეების ბუჟის, ჭვანისწყლის, ნატანების ზემო დინების წყალგამყოფზე მდებარეობს, რომლის შემადგენელი ნაწილია ჯვარიმინდორი. ჭვანას ხეობაში კი მოსჩანს სოფელი ინწკირვეთი, სადაც ამჟამად რამდენიმე ათეული ოჯახიღა ცხოვრობს.

ჯვარიმინდორის მოკლე ისტორია კი ასეთია: 1740 წელს ჭვანას ხეობაში 15-მდე მართლმადიდებლური ტაძარი იყო. 20 წლის მანძილზე თურქმა დამპყრობლებმა ყველა ტაძარი დაშალეს და დაწვეს, არც ვერჯანაულზე არსებული ქათამიძეების ტაძარი დაინდეს, მიუხედავად იმისა, რომ მისი წინამძღვარი ზაქარია ქათამაძე დახმარებისთვის ახალციხის ფაშას ეახლა. ჭვანაში დაბრუნებულ ღვთისმსახურს სამლოცველო განადგურებული დახვდა. გაუტეხელ ჭვანელებს ეკლესიის ჯვარი, ხატები, ზარი და სხვა სიწმინდეები გადაემალათ.

ნაწამებ მღვდელს და მრევლს ამ ტერიტორიაზე დაბრძანებული ჯვარისა და სხვა სიწმინდეებისათვის მაშინ მიუმართავათ: **„ჯვარო მიდიხარ, ჯვარო დაგვიბრუნდები!“** სიწმინდეები შემოქმედის ეპარქიის ტაძრებში დააბრძანეს. თითქმის სამ საუკუნოვანი შენახვის შემდეგ, 2013 წლის მარიამობაზე ჯვარი სოფელ ჭალაში მშენებარე ტაძარში გადმოაბრძანეს. ასე აღდგა სამართლიანობა.

ჯვარიმინდორის ფესტივალის მიზანი ამჟამად ქართული კულტურისა და ტურიზმის პოპულარიზაციაა.

ჯვარიმინდორი კინტრიშის ნაკრძალის მიმდებარე ტერიტორიაზეა და ამიტომაც ითხოვენ მოხდეს ჯვარიმინდორის მარკირება, იგი გამოცხადდეს ბუნების ძეგლად, რომ ადგილობრივმა მთავრობამ მისი დაფინანსება შეძლოს..

თაგინაურის მთაზე გამართულ ღონისძიებას აჭარის მთავრობის თავმჯდომარე **თორნიკე რიჟვაძე,** უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **დავით გაბაიძე**, შუახევის მუნიციპალიტეტის მერი **ფრიდონ ფუტკარაძე,** საკრებულოს თავმჯდომარე **გენადი მიქელაძე,** დეპუტატები და სხვა თანამდებობის პირები დაესწრენ.

დღესასწაულზე წარმოდგენილი იყო ადგილობრივი მუზეუმის ექსპონატები, მოსწავლე-ახალგაზრდობის ნამუშევრები, აჭარის რეგიონისთვის დამახასიათებელი რძის ნაწარმი, თაფლი, ღვინო, არაყი და ა.შ.

ჯვარიმინდორის დღესასწაულზე უამრავ ქართველ და უცხოელ სტუმრებს თავისი ხელოვნება აჩვენეს ოზურგეთის მოსწავლე-ახალგაზრდობის და სარეკრეაციო დაწესებულებების გაერთიანებასთან არსებულმა ცნობილმა **ფოლკლორულმა ანსამბლმა „იადონმა“** (ხელმძღვანელი ბიძინა მჟავია), შუახევის ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა „ზეკარი“, „ფესვები,“-ფოლკლორულმა ანსამბლებმა „ნაი,“ „ჭვანა.“

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ გაზეთ „ალიონთან“ თავისი პატივისცემა გამოხატა გურიის რეგიონის მიმართ, რომლებიც ისტორიულ მეგობრობა-მეზობლობას აგრძელებენ თავიანთ აჭარელ ძმებთან..

* * *

შუახევის მუნიციპალიტეტი ჩვენი უშუალო მეზობელია. აჭარის ხელისუფლება დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ამ დღესასწაულს, რაც აჭარის ავტონომიის პირველი პირების მასში მონაწილეობაში გამოიხატება. მომავალში სასურველია „ჯვარიმინდორის“ დღესასწაულს გურიის მხარის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების პირველი პირებიც დაესწრონ.

„ჩვენი ანსამბლი მხოლოდ ჭვანის ნიმუშებზე მუშაობს“

*ჯვარიმინდორის ფესტივალზე თავისი ავთენტურობით განსაკუთრებულად მოგვეწონა ანსამბლ „ჭვანას“ რეპერტუარი. დავინტერესდით და მის ხელმძღვანელს **ტარიელ ბოლქვაძეს** ვესაუბრეთ:*

ნუგზარ ასათიანი

– საუბარს იმით დავიწყებ, რომ უდიდეს პატივს ვცემ გურულ ფოლკლორს. ბევრ ანსამბლს ვიცნობ და მომწონს მათი ხელოვნება. ჩვენ, როგორც მეზობლებს, გვაქვს მსგავსებური ხასიათის ფოლკლორი, რაც ალბათ ახლო ურთიერთობებმა განაპირობა. ჭვანას ხეობაში გურიიდან ჩამოსახლებული გვარები სახლობენ, აქედან ხომ გურიაში ჩასახლებული ბევრი გვარია. ისტორიას თუ გადავხედავთ, არაერთი სოფელი აყრილა მტრის თარეშის დროს და გურიისათვის შეუფარებია თავი. თუნდაც ჩვენს ქვემოთ მდებარე სოფელი ინწკირვეთი. აქედან გურიაში გადასახლებული ხალხი ინწკირველებია. ვიცი, ამ გვარში ბევრი კარგი მომღერალი იყო და არის... ამას დავუმატოთ მომთაბარეობა. აჭარელი და გურული მწყემსები ზაფხულობით ერთად უმკლავდებოდნენ მთის მკაცრი ბუნების ჭირვეულობას, საღამოობით კი კარვებში ხვდებოდნენ ერთმანეთს... ახლა კი თქვენებური ანსამბლ „იადონის“ მიერ საუკეთესოდ შესრულებულ „ხასანბეგურას,“„ხიხაძირულ სეირს“ და ღვთისმშობლის საგალობელს ვუსმენდი და აღფთოვანებას ვერ ვმალავდი...

– იქნებ თქვენი შემოქმედების შესახებ გვიამბოთ...

– სიმღერა გენში გვაქვს. ოჯახში ყველა ვმღერივართ და ვუკრავთ მუსიკალურ ინსტრუმენტებზე (თავადაც ვამზადებთ). ჭვანას ხეობა მდიდარია ფოლკლორული და ეთნოგრაფიული ნიმუშებით. ხეობაში მოყვარულთა ანსამბლი თითქმის ყველა სოფელს ჰყავდა. მათი რეპერტუარი განსხვავდებოდა და ამიტომაც იყო ჯიბრი და პაექრობა მათ შორის. ამიტომაცაა ერთი სიმღერის 3-4 ვარიანტს წააწყდებით. მაგალითად, ამჟამად ჩვენი ანსამბლი „ნადურისა“ და „მაყრულის“-3-4 ვარინატს ასრულებს.

2013 წელში დავინიშნე წყალსაყარის კულტურის სახლის დირექტორად, რომლის თემშიც ხუთი სოფელი შედის. 2014 წელს დავწერე პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა ანსამბლი „ჭვანის“ ჩამოყალიბებას და აქაური ფოლკლორული ნიმუშების აღდგენა- გაცოცხლება- პოპულარიზებას. ასევე პროექტით ვითვალისწინედით ჭვანის ხეობისა და გურიის ფოლკლორული ნიმუშების გაცვლით საკონცერტო პროგრამის განხორციელებას. .აი, ამ გზით უფრო დაახლოებას გურიას ჭვანის ხეობასთან და შუახევსა და აჭარასთან.

სამწუხაროდ პროექტი ვერ განვახორციელეთ, მაგრამ სამომავლოდ ვგეგმავ, რომ აუცილებლად განვახორციელო დაწყებული საქმე.

2015 წელს ჩემი იდეით, ინიციატივითა და შუახევის კულტურის ცენტრის დირექტორის ვახტანგ ბერიძის მხარდაჭერით ჩამოვაყალიბეთ ავთენტურ-ფოლკლორული ანსამბლი „ჭვანა“ ანუ გავაცოცხლეთ ძველი ჩვენი წინაპრების ანსამბლი „ჭვანა.“ დავიწყეთ ხეობის მივიწყებული სიმღერებისა და ცეკვების აღდგენა. მუშაობამ შედეგი გამოიღო ლაურეატის წოდება და სხვა ჯილდოები მოვიპოვეთ.

– მაინც რა რეპერტუარი აღადგინეთ?

– ჯერ-ჯერობით აღვადგინეთ ძველი ანსამბლი „ჭვანას“ მიერ 1927 წელს ჩაწერილი 20 სიმღერა. კიდევ გვაქვს აღსადგენი, რაზეც ვმუშაობთ.

.წელს გვაქვს პროექტი, რომელშიც ჩართულია გალობის უნივერსიტეტი, ფოლკლორის ცენტრი, ასევე შუახევის მუნიციპალიტეტის მერიაც. თბილისის კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში ვგეგმავთ ჭვანის ხეობის ფოლკლორის საღამოს ჩატარებას და ეთნოგრაფიული ექსპონატების გამოფენას,ასევე ჭვანის ხეობის სიმღერების აუდიო დისკისა და სანოტო კრებულის ერთად გამოცემას. შემდეგ წლებში მაქვს სურვილი ეს ჩემი დაწერილმა პროექტმა აიდგას ფეხი გურია-ჭვანის მიმართულებით და განვითარდეს, რაც დაგვაახლოებს ერთმანეთს.ვფიქრობ კარგი იქნება ორივე მუნიციპალიტეტმა ჩაერთონ ერთობლივად.

– რა სიმღერები და ცეკვები გაქვთ რეპერტუარში?

–ჩვენი შემდეგი რეპერტუარი გვაქვს, რითაც ვღებულობთ მონაწილეობას სხვადასხვა ფესტივალებზე და საკონცერტო ღონისძიებებზე: „ატლატიტა“ (ცეკვის თანხლებით), „ვოსა“, „ევრი მასპინძელსა“, „ყახური“, „ნადურები“, „მგზავრული“, „ჩარირამა“, „ხასანბეგურა“,„მაყრული“ (სხვადასხვა ვარიანტებით), „ყარანაი ყანაშია“, „დელიგულიას სიმღერა“, „ნაღვარევის ბასმა ხორუმი,“ცეკვა „განდაგანა“ (ჭიბონზე და ჩონგურზე); აქაური ნიმუშების ანუ თოფია ქათამაძის საშემსრულებლო დაკვრა (ნიმუში) „ჭვანური ჟამიელი“„ჯაშის ქალო მარიკელა“, „ხერტლის ნადური“,- გაშაირება ჭიბონის თანხლებით, ჭვანის ხეობის მეტამორფოზა ზეპირმეტყველებით თვრამეტ სოფელზე;„ხინწკალა“, „ცა ფირუზის, სიანკარე“, (კახაბრიდან ხიხანამდის) „ალიფაშა“ „დელიდელა“ „ჩაგუნა“, და სხვა უამრავი სასიმღერო და საცეკვაო ნიმუშების აღდგენითი საქმიანობით ვართ კიდევ მიმართული.

ჩვენი ანსამბლი მხოლოდ ჭვანის ნიმუშებზე მუშაობს, ჯერჯერობით, ასევე თანადგომას და მხარდაჭერას გვიწევს ადგილობრივი ხელისუფლება, კულტურის ცენტრი, გიორგი მთაწმინდელის გალობის უნივერსიტეტი, ფოლკლორის ცენტრი და ქალბატონი ნინო რაზმაძე, რომელიც დიდი სტიმულის და მიმართულებების მომცემია ჩვენს ასეთ საქმიანობაზე.

ნინო რაზმაძემ ეს პროექტი 2014 წელს პირველად ნახა, რამაც გაანცვიფრა. მას .დედა გურული ჰყავს და ძაან შეყვარებულია გურიაზე, მერისზე- და ჭვანის ხეობაზე. ასე, რომ მიმართულებებში და დახმარებაში მისი წვლილიცაა. ამჟამად დამოუკიდებლად გავაგრძელეთ მიმართულების განხორციელება. სურვილი მაქვს განვახორციელო პროექტი ჭვანა - გურიის დამმობილება ფოლკლორული ხაზით, ისე როგორც ჩვენი წინაპრები ყოფა ცხოვრობაში იყვენ, ანუ გავაცოცხლო მინდა ეს მიმართულებაც.

–თქვენ დღესასწულზე სამუზეუმო ექსპონატები გქონდათ წარმოდგენილი...

– ეს ჭვანის ხეობის ეთნოგრაფიული მუზეუმის ექსპონატებია. ეს მუზეუმი სოფელ ხაბელაშვილებში მდებარეობს – ჯვარიმინდორიდან რომ ჩადიხარ, პირველი სოფელია.

ეს მუზეუმი ორი წლის წინ დავაარსე. მანამდე ექსპონატებს სახლში ვაგროვებდი. ას სამოცი ექსპონქტით გავხსენით და ახლა ვამდიდრებ გზადაგზა. ეს ექსპონატები ასახავს აქ მყოფი წინაპრების ყოფა ცხოვრებას. კარგი იქნება თუკი თქვენი მხარის სკოლები დაინტერესდებიან და ჩვენს მუზეუმს მოინახულებენ.

ჭვანას ხეობას პოეტი-პედაგოგი შოთა დიასამიძე ასე აღწერს:

„კიკობოდან კარას მთიდან,
ხარ საამო დასანახი,
გშვენის მთების ხორუმი და
თავზე ღრუბლის კაბალახი.“

ემზარ ანთაძე საერთაშორისო ტურნირზე იასპარეზებს

„BUBU“ თურქეთში მიიწვიეს



ალიონი. „ოფროუდი“ ექსტრემალური სპორტის საინტერესო სახეობა. ოზურგეთელებს განსაკუთრებულად ახსოვთ კურორტ გომისმთაზე გამართული შეჯიბრები, მათ შორის 2017 წლის ივნისის ჯიპ-ტური ურეკი-გომისმთა. ამ ტურებში აქტიურად მონაწილეობდა ემზარ ანთაძის ხელით შექმნილი ავტომობილი „**BUBU** .“

წელს, 12 აპრილს, ქ. ოზურგეთში გურიის ოფროუდის კლუბი შეიქმნა, რომლის პრეზიდენტად ემზარ ანთაძე აირჩიეს.

გურულმა ოფროუდისტებმა 14 აპრილს, აჭარის ოფროუდის ფედერაციია ღია ჩემპიონატში მიიღეს მონაწილეობა და პირველ წარმატებსაც მიაღწიეს, როგორც სტანდარტულ მანქანებში, ისე მოდიფიცირებულ ჯიპებშიც.

ამ ტურნირზე „**BUBU**“გამონაკლისის სახით დაუშვეს. მაშინ ემზარ ანთაძემ გვითხრა, რომ ახალ „**BUBU**“-ს ქმნიდა, რომელიც ჯიპის მოდიფიკაცია იქნებოდა. მან „ნისან პატრულის“ 1989 წლის ძრავით ახალი ჯიპი შექმნა, რომელმაც 26 აგვისტოს აჭარის ღია ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა. აქ საქართველოს რეგიონების და თურქეთის 35 ეკიპაჟი მონაწილეობდა. ემზარ ანთაძის მოდიფიცირებულმა „**BUBU**“-მ ტურნირის ყველაზე რთულ სახეობაში მიიღო მონაწილეობა და მაღალი შედეგი აჩვენა. „**BUBU**“-ს ეკიპაჟმა ტურნირის ორგანიზატორების და უცხოელი სპეციალისტების მოწონება დაიმსახურა. იგი უახლოეს ხანში თურქეთში საერთაშორისო ჯიპ-ტურში გამოვა.

ემზარ ანთაძეს „ასკანობაზე“ შევხდით და ვესაუბრეთ:

–კარგი ტურნირი იყო. ადგილიდან არანაირი დაფინანსება არ გვქონდა, მაგრამ მაინც ვიაპარეზე. თურქეთში მიგვიწვიეს. ფირმა „**SILVERSTON**“-ს ვუწევ რეკლამას და საბურავებზე (ერთი ცალი 1000 ლარი ღირს) 50%-იან ფასდაკლებას დამპირდნენ. თუკი ადგილობრივი თვითმმართველობა დაეხმარება „გურიის ოფროუდ კლუბს,“ წარმატებები გვექნება –გვითხრა ემზარ ანთაძემ.

სულთათანა

განშორებაა ძნელი

ზურაბ მჭავანაძის ხსოვნას



სიკვდილი ჩვეულებრივი სევდაა, განშორებაა ძნელი.

შენი გარდაცვალების დღეებში პატარა შვილიშვილებს ვეუბნებოდი, რომ ბაბუას ძინავს... როცა პატარა მარიმ საფლავის პირას გიხილა, შემზარავი ტირილი მორთო - რატომ არ იღვიძებს ბაბუა, რატომ ვტოვებთ აქ, ჩვენც დავრჩეთ მასთან! - აი, ეს იყო სწორედ განშორების ტკივილი, რომელიც ბავშვმაც კი ასე მწარედ აღიქვა...

შენი შვილები ხშირად იტყვიან: მშობელმა რა სიმდიდრეც არ უნდა დაუტოვოს შვილებს, ყველაზე დიდი სიმდიდრე მაინც ის არის, როცა გეტყვიან - კარგი კაცის შვილი ხარო! ეს მართლაც ითქმის შენს შვილებს, კარგი კაცი იყავი, კარგი მეუღლე, კარგი მამა, კარგი ბაბუა, კარგი ნათესავი და კარგი მეზობელი.

ამ კარგი კაცის კეთილმა სულმა, ერთი წელია სწორედ ფერიცვალების დღეს დაივანა ჩვენი სასაფლაოს ჭადრის ხეთა მისტერიებში.

ახლა ჩვენი 55 წლიანი თანაცხოვრების ფერგადასულ სურათებს ვათვალიერებ, საიდანაც ბედნიერი ოჯახი შემომცქერის და ვფიქრობ: რა რჩება ჩვენს შემდეგ? - მოგონება და მონატრება.... მონატრება - რომელსაც მოლოდინი არ აქვს... მართლაც ძნელია განშორება...

შენი ოჯახი

სკანვორდი



№ 32-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე – პიტერ ბრეიგელი; მდინარე ციმბირში – ლენა; სარო – კვიპაროსი, სასჯელის სახეობა – მოკვეთა; ქვეყანა სამხრეთ ამერიკაში – კოლუმბია; სასჯელი იარაღი – გილიოტინა; კოპიტი – იფანი; დიდი წყლიანი ორმო – ჭა; სამგლოვიარო სიმღერა – ნენია; ხელოვნება მოძრავი ვიდეოგამოსახულებით – კინო; ნავთობმზიდი გემი – ტანკერი; ახალი ბალახი – მოლი; ვაზის ჯიში – თითა; უჯრა – მოთხე; დერეფანი, გალერეა – ტალანი; წყლის ცხოველი – კუ; დაწნული ღობე – ქარაბაკი; ინგლისური საფეხბურთო კლუბი – ჩელსი; ძეხვეული – სოსისი; ნახშირბადის ალიტროპული სახეობა – ალმასი; ქალის თავსაბურავი – ჩიქილა; ნადი – მამითადი; სამხედრო სალარო – ფისკუსი; რიცხვი – რვა; ძვირის ანტიპოდი – იაფი; ცხოველის ზედა კიდურის მტევანი – თათი; მუსიკალური საკრავი – ქნარი; ღირებულება – ფასი.

მარჯორი უორდროპი და გურია

ანტონ სტრობარტი

შარშან გაზეთ „ალიონის“ 4 სექტემბრის 34 ვიუწყებოდით, რომ გურულების სიძემ ინგლისელმა ანტონ სტობარტმა ოზურგეთის ისტორიულ მუზეუმს საინტერესო მასალები გადმოსცა.

ბატონი ანტონი მაკვანეთლების სიძეა. მისი მეუღლე ნანა ინგოროყვაა, ისინი ყოველ წელს ჩამოდიან ოზურგეთში. წელსაც ანტონი შვილებთან და მეუღლესთან ერთად გვეწვია და მუზეუმს გადმოსცა მარჯორი უორდროპის მოგონებები გურიის შესახებ. ჩვენთვის ცნობილი ისტორიები დიდი სიყვარულით და სითბოთი გადმოგვცა.

მანანა ლომაძე

საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ინგლისელი ქალბატონია მარჯორი უორდოპი (18-69-1909), რომელმაც ინგლისურად თარგმნა ქართული ეპიკური პოემა „ვეფხისტყაოსანი,“ მიუხედავად იმისა, რომ მარჯორისა და მისი ძმის, ინგლისელი დიპლომატის სერ ოლივერ უორდროპის ძეგლი თბილისში საქართველოს პარლამენტის შენობის წინ დგას, ინგლისში მის შესახებ ცოტას თუ სმენია. ეს სტატია აღწერს მის ვიზიტს 1895 წელს დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ რეგიონში, კერძოდ გურიაში.

მარჯორი უორდროპი თავის სიცოცხლის განმავლობაში ორჯერ ეწვია საქართველოს. მისი პირველი ვიზიტი იყო 1894-95 წლებში. მან ინგლისიდან თავის დედასთან ერთად იმოგზაურა,ჯერ მატარებლით და მერე გემით და 1894 წლის დეკემბერში ბათუმში ჩამოვიდა. მისი ძმა ამდროისათვის უკვე საქართველოში იყო. მარჯორი ასე აღწერს მის ჩამოსვლას:

„მარსელიდან ცამეტდღიანი მოგზაურობის შემდეგ,1894 წლის შუა დეკემბერში, განთიადისას გამეღვიძა და ვნახე რომ ჩვენი გემი უკვე ბათუმის პორტში შესულიყო. დილა თენდებოდა, და ქალაქი ცივი ნისლის ბურუსში გახვეული მოჩანდა, მაგრამ დროდადრო ნისლის ბურუსის მიღმა მაღალ მთებსაც მოჰკრავდი თვალს. ეს იყო ჩემი პირველი შეხვედრა ქვეყანასთან, რომელსაც ასე ხშირად წარმოვიდგენდი ხოლმე, ღამეულ ხილვებსა თუ დღის ზმანებებში. მას შემდეგ, რაც ინტერესი გამიჩნდა საქართველოს ანტიკური სამეფოსადმი, მისი ულამაზესი ხედებით, მამაცი და თვალადი მკვიდრებით, მისი მდიდარი ლიტერატურითა და უპირველეს ყოვლისა, მისი სევდიანი მაგრამ გმირული ისტორიით, ვნატრობდი იმ დღეს, როცა მე თვითონ ფეხს დავდგამდი იმ ადგილებში რომლებზეც ამდენი წამიკითხავს და რომელზედაც ამდენი მიფიქრია, ვნატრობდი იმ დღეს, როცა იქნებ პირადად შევხვედროდი იმ პოეტებს, რომელთა ლექსებმაც ამხელა სიამოვნება მომანიჭა.“

მარჯორიმ და მისმა დედამ ღამე ბათუმში გაატარეს და მეორე დღეს საკმაოდ ნელი მატარებლით თბილისის გზას დაადგნენ.

თბილისში ჩასული მარჯორი მართლაც შეხვდა რამდენიმე პოეტს. განსაკუთრებით აღსანიშნავია პრინცი ილია ჭავჭავაძე. თბილისისკენ მიმავალმა მატარებელმა გაიარა ქალაქი ჩაქვი (რომელსაც მარჯორი ჩაკვას უწოდებს) გურიასთან და მარჯორის საშუალება მიეცა პირველად შეევლო თვალი გურიისა და გურულებისათვის:

„შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ რამდენიმე მილის გავლის შემდეგ მივღწიეთ ჩაკვას, სადაც უკანასკნელ ხანებში ჩაის პლანტაციები გაუშენებიათ სადგურში შესვლისას გაოცებული დავრჩი როცა კოლორიტულ გურულებს შორის ათიოდე ჩინელიც დავინახე, უკან შეკრული თმებით, თავიანთ ნაციონალურ კოსტუმში გამოწყობილები, რომლებიც მოსულიყვნენ რომ გამვლელი მატარებელი ენახათ.“

უორდროპებმა რამდენიმე დღე თბილისსა და ქუთაისში გაატარეს, სადაც მათ ტრადიციული ქართული სტუმართმოყვარეობით უმასპინძლეს:

„ქართველებს უყვართ სტუმრები, და მათი შეფასებისას სტუმართმოყვარეობა ერთ-ერთი უპირველესად აღსანიშნავი ღირსებაა. სტუმრისადმი ბუნებრივი სიყვარულის გარდა, მათ განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინეს ჩვენს მიმართ, რადგან ჩვენ ვისწავლეთ მათი ენა ინგლისიდან მათთან შესახვედრად ჩამოვედით. მათი მიერ ყველგან ჩვენი მეგობრული და აღფრთოვანებული მიღება იყო გაცილებით დიდი კომპენსაცია იმ ძნელად გატარებული საათებისა, რაც მათი ენის სიძნელეთა გადალახვას და ქართული ზმნის ექსცენტრულობის გაგებას მოუნდა.

ქუთაისიდან მარჯორი და ოლივერი 1895 წლის იანვარში გურიაში ჩავიდნენ. ისინი სოფელ ნიგოითში გაჩერდნენ:

„ჩვენს კეთილ მასპინძელთან ერთად ვესტუმრედ პრინცესა მაჭუტაძეს ნიგოითში. ეს ქალბატონი ინგლისელია და მთელს ამ მხარეში ძალზე დაფასებული თავისი ხასიათის გამო. ის თავისი მამულის გლეხებზე ძალიან ზრუნავს და ავადმყოფობისა თუ განსაცდელისა დროს ისინი მასთან მოდიან რჩევა-დარიგებისა და ნუგეშისათვის. მისი შვილები ინგლისურად საკმაოდ გამართულად ლაპარაკობენ, ისევე როგორც ქართულად. აქ ჩვენ სტუმართმოყვარედ მიგვიღო პრინცესა მაჭუტაძემ და მისმა ქმარმა.“

მარჯორის მიერ ნახსენები პრინცესა იყო პრინც დიმიტრი მაჭუტაძის მეუღლე. დიმიტრი მაჭუტაძე დაქორწინდა ინგლისელ ქალზე სახელად ჰანა ტარსი. ჰანა იყო უინძორის ციხესიმაგრის მებაღის ქალიშვილი. 1866 წელს 19 წლის ჰანა გაემგზავრა რუსეთში რათა გრაფ ლევ ტოლსტოის სახლში მისი შვილების აღმზრდელად (გუვერნანტად) ემუშავა.

ტოლსტოის სახლში ყოფნისას ჰანამ ასწავლა მათ ორი-საშობაო პუდინგისა და იორკშული პუდინგის გაკეთება. 1872 წელს ფანამ დატოვა ტოლსტოის ოჯახი და გადავიდა აღმზრდელად სონია ტოლსტოის დის ოჯახში, რომელიც კავკასიაში ცხოვრობდა. ჰანა შემდეგ ცოლად გაყვა პრინც დიმიტრი მაჭუტაძეს. მასთან ერთად ის წარმატებით გაუძღვა მაჭუტაძის ცხვრის ყველის წარმოების ბიზნესს. მასთან სტუმრობის შემდეგ უორდროპებმა განაგრძეს თავიანთი მოგზაურობა გურიაში:

„ ნიგოითიდან ცხენით ექსკურსიაზე წავედი ჯუმათში, სადაც მაღალ მთებში მონასტერია. აქ დასაფლავებულია რამდენიმე გურული მთავარი. უკვე იანვრის დასაწყისი იყო, მაგრამ ყველგან ხარისძირების, ენძელების, იების, ფურისულებისა და სხვა ყვავილების მდიდრული ხალიჩა იყო მოფენილი. ხარისძირები განსაკუთრებით მომხიბლვენი იყვნენ,ძალიან დიდები, ღია ყვითელი, ვარდისფერთან შერეული. დაახლოებით ხუთი მილი ვაკეზე ვატარეთ ცხენები, მერე კი გზა , უფრო სწორად ბილიკი თანდათან შემაღლდა, და თითქმის ორი საათი მთებში ვიარეთ, პანორამა უფრო და უფრო გაფართოვდა და მალე მონასტერსაც მოვაღწიეთ.“

მარჯორი დაწვრილებით არ აღწერს ამ მოგზაურობის სიძნელეებს, მაგრამ მისი ძმა ოლივერი ამ პერიოდის ერთ-ერთ წერილში ამბობს: „მოგზაურობა მხოლოდ ცხენებით იყო შესაძლებელი და ვიგრძენი რომ მარჯს საკმარისზე მეტხანს მოუნდა ცხენოსნობა, სრული ხუთი საათი ვიარეთ ცხენებზე ამხედრებულმა, მაგრამ ის არაფერს იმჩნევდა, და როგორც ყოველთვის მხნედ და კარგად გამოიყურება.“ მარჯორის ჩანაწერებში კი პეიზაჟია აღწერილი:

„ხედი ჯუმათიდან შეუძლებელია გადაჭარბებით იქნას აღწერილი. ჩრდილოეთის მხრიდან კავკასიონის მთავარი მთაგრეხილია გაჭიმული, რომლის ყველა დათრთვილული მწვერვალი მკაფიოდაა გამოსახული ლურჯი ცის ფონზე: მთათა შორის ენგურის, ხობის, რიონისა და წყალწითელას მდიდრული ხეობებია ჩაწოლილი. აღმოსავლეთით ქართლისა და იმერეთის მთებია, სამხრეთით კი თოვლით დაფარული აჭარა-გურიის მთაგრეხილია, რომელიც კედლად ადგება გურიის ტალღოვან მდელოებს“

ჯუმათში მათ მამა არსენმა უმასპინძლა, „კეთილმა, გულწრფელმა ბერმა.“ შემდეგ ისინი ლანჩხუთიდან სუფსაში მატარებლით გაემგზავრნენ, სადაც გურიელების სასახლეში გაჩერდნენ: ორი დღე გურიის პრინცის ზამთრის რეზიდენციაში გავატარეთ. ის მართავდა მთელ პროვინციას დაახლოებით მეცხრამეტე საუკუნის შუამდე. ეს მრავალმხრივ ღირსშესანიშნავი ოჯახია. მისი წევრების ფიზიკური აღნაგობა მეტად გამორჩეულია.სხვა დამახასიათებელ ნიშნებთან ერთად აღსანიშნავია მათი ჩინებული თმები, შავი და ტალღოვანი.გურული იშვიათად ხმარობს ქუდს, რადგან მას თმები საკმარისად ზაფხულის სიცხისა და ზამთრის სიცივისაგან. მათი ნაკვთები უაღრესად დახვეწილი და სიმეტრიულია, ერთდროულად გონიერი და გზნებით განათებული გამომეტყველებით. აშკარაა რომ მეომარი რასაა და ლეგენდები მათი გულადობის შესახებ ადვილად დამაჯერებელია.

მიუხედავად იმისა რომ წლის დასაწყისი იყო, ამინდი „ძალიან კარგი და რბილი“ შეხვდათ. ოლივერი წერს „ხალხი ამბობს რომ, ეს იმიტომ მოხდა რომ მარჯი აქ ჩამოვიდა.“

ამ ვიზიტის შემდეგ მარჯორის გურიელებთან კავშირი არ გაუწყვეტია: უორდროპების კოლექციაში ინახება პრინცესა ნინო გურიელის 3 წერილი მარჯორისადმი. ნინოს მესამე წერილი, დათარიღებული 1896 წლის 19 აგვისტოთი, გაგზავნილია სოფელ ხიდისთავიდან. ამ წერილიდან აშკარაა რომ ეს იყო გურიელთა საზაფხულო რეზიდენცია, და მარჯორი რამდენიმე ხნის წინათ ეწვია ნინოს აქ, საქართველოში თავისი მეორე, ფინალური ვიზიტის დროს 1896 წელს.

დავბრუნდეთ უორდროპების პირველ, 1895 წლის საქართველოში ვიზიტს. მარჯორი და ოლივერი სუფსიდან გაემგზავრნენ გურიის რეგიონალურ დედაქალაქში. ოზურგეთში:

„ქალაქი პატარაა, შესაძლოა ოდნავ მოზრდილი ვიდრე დიდი სოფელი, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობა აჩვენებს დიდ ლიტერატურულ აქტიურობას. აქ არის სტამბა და ბევრი საინტერესო წიგნია დაბეჭდილი. ჩვენი მასპინძელია ათაბაგთა, ახალციხის უძველესი მმართველთა შთამომავალნი, რომელთაც უდიდესი სტუმართმოყვარეობით მიგვიღეს.“

ოზურგეთში ყოფნისას უორდროპები სადილად მიიწვია შემოქმედის მონასტრის წინამძღვარმა ამბროსიმ- „ წარმოსადეგმა ჭაღარა ქართველმა“. ისინი ეტლით გაემგზავრნენ შემოქმეში, მდინარე ბჟუჟის სანაპიროს გასწვრივ:

„კარგი მიზეზი გვაქვს რომ ეს მდინარე დავიმახსოვროთ, რადგან ჩვენი ეტლი რამდენჯერმე კინაღამ გადაბრუნდა მის ქვიშიან კალაპოტზე ხრიგინით, როცა მდინარე ჩვენგან სულ რაღაც ერთი დიუმის მანძილზე მიედინებოდა.“

მარჯორი ისე მოხიბლულია შემოქმედის სილამაზით, რომ თავის ანდერძშიც კი მიუთითებია რომ იქ სურდა დასაფლავება. როდესაც მარჯორისა და ოლივერის ოზურგეთის დატოვების დრო მოვიდა, ქალაქმა მათ გამოსამშვიდობებელი ბანკეტი მუწყო:

„არასოდეს დამავიწყდება ენთუზიაზმი და კეთილგანწყობა ამ კეთილი გურულებისა. ისინი კვლავ და კვლავ გვთხოვდნენ მალე დაბრუნებას, მივიღეთ უთვალავი მოწვევა მათ სააგარაკო სახლებში. ბანკეტი დაახლოებით ორი საათი გაგრძელდა და მხოლოდ იმიტომ დასრულდა, რომ ჩვენ საღამოთი ბათუმის მატარებლს უნდა გავყოლოდით. ოთხმოცამდე სტუმარს შორის იყო რამდენიმე ძალიან მაღალი მამაკაცი. სამი მათგანი ალბათ შვიდი ფუტი სიმაღლის იქნებოდა. სანამ ჩვენ წამოვიდოდით , ერთ-ერთმა მათგანმა სულმოთქმულად დალია მთელი ბოთლი ადგილობრივი წარმოების შამპანურისა, ჩვენთვის ბედნიერი მგზავრობის სასურველად . ბოლოს, შეკრებილი სტუმრების გამოსათხოვარ შეძახილებში, ჩვენ დავტოვეთ იქაურობა. ისინი ბალკონზე გამოვიდნენ რათა გამოგვმშვიდობებოდნენ.“

ანტონ სტობარტი,
10 აგვისტო, 2018 წელი.

„მერცხალის“ ფრე „რაჭასთან“

ალიონი. საქართველოს ერაოვნულ ჩემპიონატში იმდენი ლიგა, ჯგუფი და ქვეჯგუფია შექმნილი, თავსა და ბოლოს ვერ გაუგებ. ჩვენ ჩვენი ვთქვათ: რეგიონლიგის ქვედა ჯგუფის დასავლეთის ქვეჯგუფში მოასპარეზე „მერცხალი“, თუ რას აპირებს ამ სეზონში ჩვენთვის უცნობია. მუდმივი დაპირისპირების გამო გუნდში ჯანსაღი ატმოსფეროს შექმნას დრო დასჭირდება. ფეხბურთის მოყვარულები ამბობენ, რომ ოზურგეთში კარგა ხანს არ იქნება ფეხბურთი.

ახლა მოკლედ ქვეჯგუფის შესახებ: აქ აბაშის „ზანა“ (2 ტურის შემდეგ 6 ქულით ლიდერობს), „საირმე,“(ბაღდადი) „იმერეთი 2“ (ხონი), „ჩხერიმელა“ (ხარაგოული), „რაჭა“ (ონი), „სქური“ (წალენჯიხა) იქნებიან ოზურგეთელთა მეტოქეები.

პირველ ტურში „მერცხალი“ ონში „რაჭას“ შეხვდა და ფრე 1:1 ითამაშა.

„ასკანობა 2018“

ᲐᲚᲘᲝᲜᲘ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ასკანაში სახალხო დღესასწაული „ასკანობა 2018“ სპორტული და კულტურული ღონისძიებებით აღინიშნა.

გაიმართა ტრადიციული დღი, სადაც ნახევარ დისტანციაზე **დათა შარაშიძემ** მოიპოვა პირველი ადგილი. მეორე – **დავით ჩხიკვაძე** იყო.

კილომეტრნახევრიან დისტანციაზე პირველი ადგილი **ნიკოლოზ წყავზარაძემ** დაიკავა, მეორე -გივიკო გოგუაძე იყო.

მკლავჭიდში **ზაზა მგელაძემ** და თბილისის მე-10 სკოლის მოსწავლემ მოდელმა და მოცეკვავემ **მარიამ სამხარაძემ** მოიპოვეს.

სპორტის სახეობებს შორის განსაკუთრებით ბევრი მაყურებელი ჰყავს ფეხბურთელთა ტურნირს. წელს პირველობისთვის ასკანის, მთისპირის, ბასილეთისა და მშვიდობაურის გუნდები იბრძოდნენ. ფინალში ტრადიციული მეტოქეები ასკანისა და მთისპირელთა გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს. **ასკანელებმა** წელს შეძლეს მთისპირელების დამარცხება (5:2) და საპატიო თასს დაეუფლნენ.

ჩატარდა ადგილობრივი ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლების: " ზენაარის," „შვიდკაცას,“ რეხეულის,“ „ალილუიას“ და მომღერალ ლევან ნინიძის კონცერტი.

„ასკანობის“დღესასწაულის მონაწილეებს მიესალმნენ: ასკანის საჯარო სკოლის პედაგოგი **ლიანა ნინიძე,** გურიის გუბერნატორი **ზურაბ ნასარაია,** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი **კონსტანტინე შარაშენიძე.** მათ სოფლის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის „საპატიო ასკანელის“ წოდების დამადასტურებელი სიგელი გადასცეს **ზაურ ჩხაიძეს.**

როგორც ცნობილმა მომღერალმა და სოფლის კოლორიტმა **ლევან ნინიძემ** გამოაცხადა, ბოლო ერთ წელში სოფელში 14 ბავშვი დაიბადა, მათ ჩხაიძეების მიერ წლების წინ დაწესებული 200-200 ლარი გადასცეს; ანალოგიური თანხა გადაეცათ სოფლის 11 შშმ პირს.

დედის გაცოცხლება დეკორატიული ხელოვნებით

თემურ მარშანიშვილი

ვისაც თბილისში, სვანეთის უბანში ფოთოლა არობელიძის „მინიგარდენია“ არ უნახავს, ის, მსუბუქად რომ ვთქვათ, ბოლომდე არ იცნობს თანამედროვე ქართულ დეკორატიულ ხელოვნებას. რასაკვირველია, ასეთ ადამიანთა რაოდენობა ძალიან მცირეა და ამ უმცირესობაში, სამწუხაროდ, გაზეთ „ალიონის“ რედაქტორი და ამ წერილის ავტორიც აღმოვჩნდით ჯერჯერობით. მკითხველმა, რა თქმა უნდა, იცის, მაგრამ მაინც შევახსენებთ, რომ ფოთოლა არობელიძე გაზეთ „ალიონის“ ყოფილი ფოტოკორესპონდენტისა და ფოტოხელოვანის, ბატონი გიგლა გიორგაძის დისშვილია.

გასულ კვირაში ქალბატონი ფოთოლა ოზურგეთში იმყოფებოდა და მერაბ კოსტავას ქუჩაზე მდებარე მშობლიურ ეზოში მოწყობილი გამოფენის ხილვით ნაწილობრივ შევძელით დეკორატიული ხელოვნების ცოდნის შევსება, ამავე დროს, დავუტკბით იმ მშვენიერებით, რაც აქ, ამ ერთ მტკაველა ეზოში ვნახეთ. ეს კი ჩვენი კოლეგის ლია კილაძის დამსახურებაა, ვისი თანხლებითაც ვსტუმრობდით მართლაც საინტერესო ხელოვანს.

ზოგადად, დეკორატიული ხელოვნება რომ სივრცეს ითხოვს, ამაზე სხვა აზრი არ არსებობს და ნამდვილად ვერ წარმომედგინა, თუ ხელისგულისოდენა ფართზე ასეთი კომპოზიციების შექმნა იქნებოდა შესაძლებელი. მაგრამ, როგორც ქალბატონმა ფოთოლამ გვითხრა, დედის ხატი ერთადერთია, რაც შეუძლებელს შეაძლებინებს ყველა ნორმალურად მოაზროვნე ადამიანს:

„აქ რასაც ხედავთ, ჭურჭელია თუ აქსესუარი, თითქმის ყველაფერი დედაჩემისაა, ან მისი ხელშენახებია. საოცრად მოხდენილი დედა მყავდა, პროფესიით მკერავი გახლდათ, მაგრამ განსაკუთრებულად ორიგინალური აზროვნებითა და ხედვით გამოირჩეოდა. რასაც აქ ხედავთ, ჩემთვის ნივთზე მეტია, ამიტომ, როცა ვეხები, კი არ გადავაადგილებ, ვესათუთები, ვესიყვარულები, თითოეულში დედაჩემს ვხედავ, თითოეულიდან დედაჩემის სუნთქვას ვგრძნობ, თითოეული დედაჩემს მიცოცხლებს. ეს ყველაფერი და ის „მინიგარდენიაც“ თბილისში, დედამ შემაქმნევინა. მერე, რა, რომ დიდი ხნის წასულია. ვფიქრობ და უეჭველია, დედის ხატი ერთადერთია, რაც შეუძლებელს შეაძლებინებს ყველა ნორმალურად მოაზროვნე ადამიანს“.

პროფესიით პედაგოგმა, ბუნებაში, გარემოში უსულო და სულიერი საგნების საოცარი ჰარმონიულობით შემრწყმელმა ქალბატონმა ფოთოლამ, რომელსაც თურმე სახელდახელო სუფრაზე თამადობაც ხელეწიფება, საინტერესო, შეუდარებელი დეკორატიული ხელოვნებით, იმდენი შეძლო, რომ თავისივე შეუდარებელი დედა გააცოცხლა.

7 დღის ამინდის პროგნოზი

3 სექტემბერი ორშაბათი	4 სექტემბერი სამშაბათი	5 სექტემბერი ოთხშაბათი	6 სექტემბერი ხუთშაბათი	7 სექტემბერი პარასკევი	8 სექტემბერი შაბათი	9 სექტემბერი კვირა
მზე ღრუბელი +16+26	მზე ღრუბელი +17+27	მზე +17+29	ელ-ჭექი +17+29	ელ-ჭექი +16+20	ღრუბელი +13+18	ღრუბელი +12+18